Georgia

IDENTITY CARD

მოქალაქის პირადობის მოწმობა

საქართველო

GEO



გარეთის No / CARD No

20IE66570

სახელი / FIRST NAME

მამუკა

MAMUKA

გვარი / LAST NAME

ხავთასი

KHAVTASI

მოქ. / CIT	სქესი / SEX	პირადი No / PERSONAL No
GEO	მ / M	35001009271

დაბადების თარიღი DATE OF BIRTH	მოქმედების ვადა DATE OF EXPIRY
07.03.1975	17.06.2032

ხელმოწერა
SIGNATURE

Georgia IDENTITY CARD

საქართველო

GEO



სახელი / FIRST NAME

ივანე

IVANE

გვარი / LAST NAME

ჯიჯიეიშვილი

JIJIEISHVILI

მოქ. / CIT | სქესი / SEX | პირადი No / PERSONAL No

GEO | მ / M | 01009016073

დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH

16.06.1984

მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY

14.01.2027

ხელმოწერა
SIGNATURE

ბარათის No / CARD No

16IA19514

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

05377198673425

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N250749790

რეგისტრაციის თარიღი

18.06.2025 წ

ნოტარიუსი: მაია მეტრეველი
მისამართი: ქალაქი რუსთავი, შარტავას გამზირი 5-100
ტელეფონი: 0341279293

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ოცდახუთი წლის თვრამეტ ივნისს მე, ნოტარიუს მაია მეტრეველს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.რუსთავი, შარტავას გამზირი 5-100, პირველი სართული, მომმართა **შპს „ეიმ რუსთავი“-ს (ს/ნ 400287140)** დირექტორმა – სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა ბატონმა **მამუკა ხავთასმა** (დაბადებული 07.03.1975წ. რუსთავში, პირადი №35001009271, პირადობის მოწმობა 20IE66570, გაცემული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 17.06.2022წ., რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, ურეკის ჩიხი, N 12ა, რომლის უფლებამოსილება დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან **შპს „ეიმ რუსთავი“-ს** შესახებ (04/02/2025წ., განაცხადის რეგისტრაციის ნომერი B25013656, მოქმედებს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში). მან გამოხატა მინდობილობის შედგენისა და მისი სანოტარო წესით დამოწმების ნება. მე დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, აგრეთვე მინდობილობის შინაარსი, შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე მას, განვუმარტე დოკუმენტის შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. ამ განმარტებათა მოსმენის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით წაიკითხა მინდობილობა და მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი სრულად შეესაბამება მის ნებას. **მამუკა ხავთასმა** პირადად ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **მამუკა ხავთასი** (დაბადებული 07.03.1975წ. რუსთავში, პირადი №35001009271), როგორც **შპს „ეიმ რუსთავი“-ს (ს/ნ 400287140)** დირექტორი, უფლებამოსილებას ვანიჭებ **ივანე ჯიჯიეიშვილს** (დაბადებული 16.06.1984წ. თბილისში, პირადი №01009016073) იყოს ჩემი წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირთან, საჯარო რეესტრში, სანოტარო ბიუროში, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში, ქალაქ თბილისისა და ქალაქ რუსთავის მერიასა და მათ სამსახურებში, გამგეობაში, საკრებულოში, ნებისმიერ არქივში, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურებში, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, საპატრულო პოლიციაში, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში, დასუფთავების და კომუნალურ სამსახურებში, სატელეკომუნიკაციო კომპანიებში, მათ შორის ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში“, „სოკარ გაზი ჯორჯია“-ში, ,,ენერგო პრო ჯორჯიაში“, „თბილისი ენერჯი“-ში, „თელმიკო“-ში, ,,თელასში“, ,,თბილსერვის ჯგუფში“, სს ,,სილქნეტში“, შპს ,,ახალ ქსელებში“, შპს ,,მაგთიკომში“, „სიჯისი“-ში, საგადასახადო ინსპექციაში და ყველა შესაბამის დაწესებულებასა და ორგანიზაციაში **შპს „ეიმ რუსთავი“-ს (ს/ნ 400287140)** კუთვნილ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც მდებარეობს მისამართზე: <u>ქალაქი თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №24ბ, უძრავი ქონების ს/კ №01.18.12.007.086;</u> კერძოდ, იგი უფლებამოსილია აწარმოოს არქიტექტურულ პროექტთან და მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა, დაუკვეთოს აზომვითი ნახაზი, პროექტი, მოახდინოს ფართების/საზღვრების დაზუსტება, გაყოფა, გამიჯვნა, გაერთიანება, შეიტანოს ცვლილებები საჯარო რეესტრის რეგისტრირებულ მონაცემებში, მიიღოს მშენებლობის ნებართვა (ვადის გაგრძელების უფლებით), შეათანხმოს/შეიტანოს ნებისმიერი ცვლილება/კორექტირება პროექტში, შეათანხმოს/დაამუშაოს განაშენიანების დეტალური გეგმა და დაამტკიცოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სივრცითი და ქალაქმშენებლობის განვითარების სააგენტოში, მოახდინოს გამრიცხველიანება, გადაიხადოს კანონით დადგენილი ყველა გადასახადი, აწარმოოს მოლაპარაკებები, წარადგინოს განაცხადი (მათ შორის ელექტრონული განაცხადი), ატვირთოს და გააგზავნოს დოკუმენტები ელექტრონულად ან/და მატერიალურად, გასცეს თანხმობა, მოაწეროს ხელი ჩემს მაგივრად ნებისმიერ დოკუმენტს, მათ შორის მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებისათვის საჭირო

დოკუმენტებს, მიღება-ჩაბარების აქტს, გამოითხოვოს და მიიღოს აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებული დოკუმენტები, მოაწეროს ხელი ჩემს მაგივრად და შეასრულოს ყველა სხვა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია 1 (ერთი) წლის ვადით მესამე პირებზე შემდგომი გადანდობის უფლების გარეშე და ძალაშია 2026 წლის 18 ივნისის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს მაია მეტრეველის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია საზღაური 30 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლის მე-8 პუნქტისა, აგრეთვე 5,40 ლარი დღგ, თანახმად „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ 166-ე მუხლისა და 5 ლარი ელექტრონულ რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციისათვის, თანახმად საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების (2011 წლის 29 დეკემბერი, №507) 39-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა, სულ 40,40 ლარი.

შპს „ეიმ რუსთავი“-ს (ს/ნ 400287140)
დირექტორი მამუკა ხავთასი ----------

ნოტარიუსი მაია მეტრეველი ----------

